

საქართველო

თავისუფალი საოცრული გაზეთი

ფასი 40 კაპიკი

საქართველოს მენაჯერთა კავშირი



ნოქარშია:

მოდით,
ოპტიმისტები
ვიყოთ

საუბარი
ნოდარ
ხიზანიშვილთან

მე-2 გვერდი

ნოდარ ახალკაცი
უარყოფს

რა მოხდა
11 წლის წინ

მე-3 გვერდი

ბოგსლენი
გაშკაპების
სპორტია
ედვინ მოზესი...
„გამქანებული“

მე-4 გვერდი

ყველა მედლის
კავალერი
მთელი ცხოვრება
„ელანთან“ ერთად

მე-5 გვერდი

1991 წლის 26 მაისს პირდაპირი ფარული კენ-
ჭისპირით საქართველოს რესპუბლიკის პრეზ-
იდენტად აირჩიეს ბატონი ზვიად გამსახურდია
(ეს ფოტო 1989 წლის 26 მაისს თბილისის უნი-
ვერსიტეტის ეზოშია გადაღებული).

ოლიმპიადისკენ ოლიმპიის გავლით

მხარდაჭერა

„სარბიელის“ 16 მაისის ნომერში მკითხველებს ვაუწყებთ გაზეთ
„სარბიელის“ რედაქციის, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა
ასოციაციისა და ასოციაცია „ფალავნის“ ინიციატივით თაობაზე. გაისად,
მაისში განზრახული გვაქვს მოვაწყოთ ჟურნალისტურ-სპორტული
ავტოგეგმედიცია მარშრუტით: თბილისი-ოლიმპია. ცხადია, იდეა
ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, მინიშნებულია კონკრეტული
გეგმა და მისი რეალიზაციის გზები, მაგრამ, დაგვთანხმებით, ამგვარი
წარმომადგენლობითი ექსპედიციის ორგანიზაცია მრავალ სირთ-
ულესთან არის დაკავშირებული და მათი მოგვარება ფართო
მხარდაჭერით თუ მოხერხდება.

გამოხმაურებამ, რომელიც პირველივე პუბლიკაციას მოჰყვა,
იმედია, განგვაწყობს: ჩვენს ინიციატივას მოწონებით შეხვდა
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სპორტისა და ტურიზმის
ქვეკომისია. ექსპედიციასთან დაკავშირებით ახლო მომავალში
სპეციალურად იმსჯელებენ სამთავრობო დონეზე;

მხარში ამოგვიდგას საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ხელმძღ-
ვანებთან — გვპირდებიან მატერიალურ — ფინანსურ დახმარებას;

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის 22
მაისის სხდომაზე ასევე მოიწონეს ექსპედიციის მოწყობის იდეა.
აღინიშნა, რომ ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს ოლიმპიური იდეალების
პროპაგანდას, საერთაშორისო სპორტული კონტაქტების გაფარ-
თობას, ქართული სპორტის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას;

ექსპედიციის წარმატებით განხორციელებაში მხარდაჭერას
გვპირდება საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირი,
ეროვნული სპორტული საზოგადოება „შეგარდენი“, აგრეთვე
პონტოელი ბერძნების საზოგადოება.

საინიციატივო ჯგუფი



25 მაისს პართლანდ უინსანისაში ასპარაუზობა
გამგარტა თბილისში. ეს იყო მასობრივი გარაბანი,
რომელიც საქართველოს დემოკრატიზაციის აღდგა-
ნის დღეს — 26 მაისს მიეძღვნა.

მასალა იმედით მე-4 გვერდზე

არის
ახალი
იდეა!

თავისი ხანმოკლე ბიოგრაფიის
მიუხედავად, „სარბიელმა“ უკვე
მოასწრო არაერთი წამოწყების
ინიციატორი გახდარა. მათგან
ყველაზე მნიშვნელოვანი, უდავოდ,
თბილისიდან ოლიმპიადე ავტოგე-
სპედიციის მოწყობის წინადადებაა. ამ
იდეის ხორცშესხმას „სარბიელი“
საქართველოს სპორტულ ჟურნალის-
ტთა ასოციაციასთან (რომელიც ასევე
„სარბიელის“ ინიციატივით შეიქმნა)
ერთად აბრებს. ამ ექსპედიციის
ორგანიზება დიდ დროს, სახსრებსა და
ენერგიას მოითხოვს. ჩვენ ეს მშვენიე-
რად გვესმის და ამიტომ, როცა
რედაქციაში ახალი იდეა გაჩნდა,
გულმოდგინედ ვიმსჯელებთ, ღირდა მისი
გამოქვეყნება თუ არა. ჯერ ხომ უკვე
წამოწყებული საქმე არ მიგვიყვანია
ბოლომდე. მიუხედავად ამისა,
საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივდით,
რომ გადავდგამთ არ ღირს.

მაშ ასე, ახალი იდეა —
საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში
ჩვენ, რა თქმა უნდა ვიცით, რომ
ფეხბურთი თავის წვერებს აუკრძალა
საქართველოს გუნდებთან კონტაქტები.
ამით იზოლაციაში მოგვქექით და
საერთაშორისო მასშტაბის ნებისმიერი
ღონისძიება ჩვენთვის მთ უფრო დიდ
მნიშვნელობას იძენს. ასეთ პირობებში
საერთაშორისო ტურნირის ჩატარების
თვით ფაქტი მეტად მნიშვნელოვანია.
ტურნირი კი აბსოლუტურად კა-
ნონიერი იქნება, რადგან მასში
მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ
უცხოეთის კლუბები! საქმე ისაა, რომ
ფეხბურთში აკრძალა საქართველოს გუნ-
დებთან თამაში და არა საქართველოში
ფეხბურთის თამაში. აი, რა უნდა
გამოვიყენოთ!

ამ იდეის გადაუდებლად გამოქვეყნება
იმითმ გადაწყვიტეთ, რომ იგი
მოიწონეს კომპეტენტურმა სპე-
ციალისტებმა და, ვინაიდან ტურნირი
ზაფხულში, სეზონის შორის შეს-
ვენებისას უნდა ჩატარდეს, დაყოვნების
დროც აღარაა.

„სარბიელის“ ვარიანტი: ტურნირი
ოთხი გუნდის მონაწილეობით (ქვე-
ყნები: ისრაელი, თურქეთი, ბოლონეთი,
შვეიცარია ან სომხეთი). პირველ დღეს
გამართება ნახევარფინალები, მეორე
(ან მესამე) დღეს კი — ფინალი და
მატჩი მესამე ადგილისთვის.



ჩემპიონთა თასი
ფინალი

«ცრპენა ზეზუდა»
„მარსელი“

0:0
პენალტებით
5:3






გია აბულაძის ფოტო

25. მაისს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართა ორი საინტერესო შეხვედრა. პირველ მატჩში ერთმანეთს პირისპირ წარსდგნენ საქართველოს კლუბების ნაკრები და თბილისის „ბერია“. გამარჯვება ნაკრებმა — 3:0. მეორე მატჩში ერთმანეთს შეხვედნენ თბილისელი და კიეველი ვეტერანები. ეს საინტერესო შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით 3:1. ამ ფოტოებზე სწორედ 25 მაისის მატჩების მომენტებია აღბეჭდილი.



გია აბულაძის ფოტო

ნოდარ ხიზანიშვილი: გვაქვს ოპტიმიზმის საფუძველი



ნოდარ ხიზანიშვილი

დაიწყეთ იმით, თუ რა აქვს კარგი ეროვნულ ჩემპიონატს. თვალში საცემია საქართველოს ყველა რეგიონში ფეხბურთით დიდი დაინტერესება. ზოგნი უკვე „წყალწალბეზულად“ გვთვლიან, არადა, თუნდაც წინათ საქართველოს ნაკრებსა და „ბერიას“ შორის გამართულმა შეხვედრამ დაადასტურა, რომ ჩვენს ფეხბურთის მართლაც დიდი რეზერვი აქვს. უარყოფით მხარეზეც უნდა ვთქვათ: სამწუხაროდ, ხშირია მსაჯების შეურაცხყოფა, მართო ფეხბურთელები და გულშემატიკეები კი არა, ხანდახან მილიციელებიც ჩაიდან ულის საქციელს. ეტყობა, ეროვნულ ჩემპიონატს ფეხბურთელები და გულშემატიკეები მომზადებული ვერ შეხვდნენ. გამოცდილი თბილისელი გულშემატიკეები შედარებით კორექტულია, რაიონებში კი, მეტადრე „ცხელ წვრილებში“, ყალბი ვნებათაღელვა ქარბობს. საქმე იმავედ მიდის, რომ შესაძლოა ზოგიერთი გუნდი საერთოდ მოხსნან გათამაშებიდან. მოედნის შემოღობვამაც კი ვერ გამოასწორა მდგომარეობა, სანქციებიც საკმაოდ მკაცრია, მაგრამ... ერთი სიტყვით, გულშემატიკეებთან თვითშეგნება უნდა გაიზარდოს.

ახლა გუნდებზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ „ბერია“ წელს უფრო ძლიერი გუნდია, ვიდრე შარშან. ოსტატობის დონეც აიმაღლეს და მონდობაც მეტი აქვთ. თუ გახსოვთ, შარშან ფოთის „კოლხეთთან“ პირველ თამაშში გუნდი ზედმეტად თავდაჯერებული იყო, სეზონიც არათანაბრად ჩაატარა. დღეს კი სულ სხვა რამის მოწმენი ვართ. ძალიან მომწონს ლანჩუხის „გურია“, სიხუმის „ცხუმი“. მართალია, სიხუმელთა გუნდი, საქართველოს ყველა დროის ერთერთმა საუკეთესო მწვრთნელმა გიგა ნოროაძემ დატოვა, მაგრამ აფხაზეთში იმდენი ტალანტია,

რომ „ცხუმს“, წესით, სერიოზული ჩავარდნა არ უნდა ჰქონდეს. საინტერესო გუნდია ზუგდიდის „ოდიში“. ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა მწვრთნელის პრიზი რომ არსებობდეს, ოთარ გაბელიას მივაკუთვნებდი. იგი გუნდს გადაყოლილი და ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული აცია. რაც შეეხება „გორას“, ჩემი აზრით, რუსთაველები აქცენს საშემოდგომო ჩემპიონატზე აკეთებენ, ახლა კი ერთგვარ ექსპერიმენტს ატარებენ, „ეძებენ“ თამაშს. ლიდერთა ჯგუფის გუნდებიც კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ. მე არ ვიზიარებ იმ აზრს, თითქმის საქართველოში სუსტი მწვრთნელები გვყავს. რასაკვირველია, ცალკეულ გუნდებში არის შემთხვევითი ხალხი, მაგრამ ძირითადი ბირთვი კარგია. ჩვენ, სამწუხაროდ, მოკლებულნი ვართ ისეთ შესაძლებლობებს, როგორიც, მაგალითად, კიევის „დინამოს“ აქვს. ლობანოვსკისათვის ხომ მთელი ინსტიტუტები მუშაობდნენ. კიევში თუ ასეა, ხომ წარმოგიდგენიათ უცხოეთში როგორ იქნება. ალბათ, ჩვენთანაც დადგება ასეთი დრო. ზემოთ ვთქვი, კარგი რეზერვი გვყავს-მეთქი. ზუგდიდელ დავით ყიზილაშვილზე შემოძლია ვთქვა, რომ მე ასეთი ფორვარდი კარგა ხანია არ მინახავს... თემურ ქეცელი „დინამოში“ ჯერ კიდევ ჩემს დროს მოიყვანეს, მას უდიდესი პოტენციალი აქვს.

მტკივნეული საკითხია მსაჯობის დონე. აიანი გამოცდილი, მაღალი კვალიფიკაციის მსაჯები, ახალგაზრდებმა მათგან უნდა ისწავლონ, თორემ ხანდახან, უნებლიეთ, ისეთ ელემენტარულ შეცდომას უშვებენ, რომ გაოცდებით. ჩვენს დროს მსაჯებს მაღალი ავტორიტეტი ჰქონდათ. ყოფილა, შეცდომა რომ მოსვლიათ,

მაგრამ მათი ისეთი რიდი და პატივისცემა გვქონდა, რომ უშუალოდ არ გვეკამათებოდათ. იქნებ ახლა ეროვნული ნაკრების საკითხიც შეეხოთ. ნაკრები, მოგვხსენებთ, ამა თუ იმ ქვეყნის ფეხბურთის სახეა. ერთია, როცა ფეხბურთელი კლუბის შემადგენლობაში გამოდის მინდორზე და სულ სხვაა ეროვნული ნაკრების მისიურით თამაში. ამდენად, სასიამოვნოა, რომ ჩვენში ნაკრები გუნდის მომზადებას სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა. ამასთან ერთგვარი კავშირი აქვს ფეხბურთელების „ექსპორტის“ საკითხსაც, მაგალითად დანია ავიღოთ. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ყოველი მეორე დანიელი ფეხბურთელი საზღვარგარეთის კლუბში თამაშობდა. შემდეგ ისინი ნაკრებში მიიწვიეს, შესანიშნავი გუნდი შეკრეს. დამოუკიდებლობა რომ მივაღწევთ და ჩვენი ნაკრებით წარვდგებით მსოფლიოს წინაშე, ჩვენც შემოვიკრებთ საზღვარგარეთ მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებს. ასე რომ, უცხოეთში წასული კაცი საქართველოსთვის დაკარგულად არ უნდა ჩავთვალოთ. დიდ როლს თამაშობს ანაზღაურების საკითხიც. განა ადამიანს, რომელსაც ქართული ფეხბურთის წინაშე დამსახურება მიუძღვის, არ ეკუთვნის წასვლა და მატერიალურად ცოტათი მაინც წელში გამართვა?!

... დღემდე გრძელდება კამათი იმაზე, თუ რამდენად მართებულია უმაღლეს ჯგუფში ოცი გუნდის თავმოყრა. ჩემი აზრით, ამაში ცუდი არაფერია. ჯერ ერთი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფეხბურთის პოპულარობა იზრდება, რაც იმავე ნაკრებისათვის ფეხბურთელთა მეტ არჩევანს მოგვცემს. მეორეც, სანამ საერთაშორისო სარბილისაგან იზოლირებული ვართ, გვეჭირდება თამაშების მეტი რაოდენობა. ჩვენში სეზონის მანძილზე საშუალოდ ორმოცი მატჩი ტარდება, საზღვარგარეთ კი ოთხმოცამდე. ასე რომ, რაც უფრო მეტს ითამაშებენ ფეხბურთელები, მით უკეთესი იქნება. ჩემი აზრით, მისასალმებელია მომავალი სეზონიდან შემოდგომა-გაზაფხულის სისტემაზე გადასვლა. საბოლოოდ ვიტყვი, რომ მიუხედავად სირთულეებისა, ოპტიმიზმის საფუძველი გვაქვს. რაც შეეხება მიმდინარე ჩემპიონატის პროგნოზს, „ბერიას“ ჩემპიონობას ვეღარავინ შეეცილება.

ჩაიწერა

ილია ბაბუნაშვილი

ფეხბურთის ფელაქასიაში

ფედერაციის პრეზიდიუმმა იმსჯელა მიწისძვრით დაზარალებული რაიონების საფეხბურთო კლუბების მდგომარეობის შესახებ, რომელთაც, გასაგებ მიზეზთა გამო, აღარ ძალუძთ ჩემპიონატის გაგრძელება.

გადაწყდა, რომ საჩხერის „ნიხურას“ და ჭიათურის „მალაროელს“ მესამე ჩემპიონატისათვის შეუნარჩუნდებთ ადგილი პირველ ჯგუფში. ამასთან დაკავშირებით, მეორე ჯგუფის გამარჯვებულებთან გადასასვლელ შეხვედრებს ჩაატარებენ არა პირველ ჯგუფში ბოლო მეჩვიდმეტე-მეოცე ადგილებზე გასული გუნდები, არამედ ისინი, ვინც მეოთხეთმეტე-მეოთხედმეტე ადგილებს დაიკავეს.

ამბროლაურის „რაქას“ და ონის „მამისონს“ შეუნარჩუნდებთ ადგილი მესამე ჯგუფში, ცაგერის „ხეამლს“ და ჭიათურის „მშენებელს“ — მეხუთე ჯგუფში.

პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, აღნიშნულ ექვსივე გუნდს, მიუხედავად ჩატარებული შეხვედრების რაოდენობისა, შედეგები გაუქმდით. კლუბებს გაეწევათ ფინანსური დახმარება.

პროგნოზი ჩემპიონატი

გაიმართა მეორე და მეცხრე ტურის გამოტოვებული შეხვედრები.

დილა — მარტვილი 0:1

სულორი — ჭუთაინი 5:1.

პრიზები ბავშვებს

დამთავრდა მერაბ კოსტავას სახელობის ტურნირი ფეხბურთში 1976 წელს დაბადებულ ბავშვებს შორის. პირველ ადგილზე გავიდა და მთავარი პრიზი მოიპოვა თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდმა, მეორე იყო „ავაზა“, მესამე — „მერანი“. ყველაზე კორექტული გუნდის პრიზი გადაეცათ ხობელებს, ყველაზე რაინდულ გუნდად აღიარეს „მერანი“.

ცუდი პირობები რომ არა

მერაბ გოგობია ოჩამჩირეს „ამირანს“ წელს ჩაუდგა სათავეში. „ამირანის“ შარშანდელი გასაკვირი ყველას კარგად მოეხსენება. გუნდი წლებადღე სეზონშიც სახიფათო ზონაში ტრიალებს.

— ბატონო მერაბ, რითი ახსნით გუნდის წარუმატებლობას?

— საწვრთნელი ბაზა ჩვენ არა გვაქვს, სტადიონზე რემონტია. შეხვედრებს, რომლებშიც მასპინძლები უნდა ვიყოთ, გალში, ნეიტრალურ მიწაზე ვმართავთ.

— ბაზა და სტადიონი რომ გქონდეთ?

— უკეთესი შედეგი გვექნებოდა. ცუდი გუნდი ნამდვილად არ გვყავს. გასვლით თამაშებს კარგად ვატარებთ. ოჩამჩირელ ახალგაზრდებს გვერდს უმაგრებენ. გამოცდილი ფეხბურთელები დონია, გაბისონია, ყოფილი მინსკის დინამოელები — შირაკი და გომონოვი.

— თქვენ ბრძანებთ, რომ ოჩამჩირეში თამაში არ გეწყევთ. გულშემატიკეების

არყოფას ხომ არ განიცდით?

— არა. ჩვენ ერთგული გულშემატიკეები გვყავს, რომელიც გასვლით შეხვედრებზეც დაგვეყვება. სხვათა შორის, მათ გამო ერთხელაც არ მომხდარა ინციდენტი.

— დღეს ყველა მსაჯობას უჩივის.

— წყალტუბოსა და სამტრედიის მატჩებს თუ არ ჩავთვლით, მსაჯობით კმაყოფილი ვარ.

— შარშან უმაღლესი დივიზიონის რეფორმამ იხსნა გუნდი. წელს ალბათ ამის იმედი აღარ უნდა გქონდეთ.

— რასაკვირველია. ჩვენ ყოველ დღეს ვიზმართ, რათა უმაღლეს ჯგუფში ადგილი შევიწინაწინოთ. როგორც ცნობილია, ბოლო ადგილზე გასული გუნდი გადასასვლელ მატჩს გამართავს პირველი ჯგუფის გამარჯვებულთან. ვფიქრობ, აქამდე არ მივიყვანთ საქმეს.

ილია ბაბუნაშვილი

რაბი გეოლოგ სახელწოდება ღარჩა

უმთავრესი ამბები ამ ტურში მოედნების ნაცვალ ფიზკულტურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში მოხდა, სადაც გაიმართა რაბის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა. ისე, საკვირველიც კი არის, რომ უკვე არსებული რაბის კავშირის ხანცვლილ ყრილობის ინიციატორებმა ფედერაციის შექმნის იდეა წამოაყენეს. თუცა ეს საკითხი უკვე არსებული სახელწოდების სასარგებლოდ გადაწყდა, სხვა დანარჩენი დეტალები, განსაკუთრებით კი კავშირის წესდება, ორგანიზატორთა დიდი მცდელობაა.

ბით, თითქმის მთლიანად შეიცვალა.

საქმე ისაა, რომ თუ ძველი წესდებით ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას ხმა მხოლოდ კლუბებს ჰქონდათ და ისიც თანაბრად, ახლა ყველაფერს წყვეტს ყრილობის მიერ ორი წლით არჩეული სარაბო ელიტა, ანუ პრეზიდიუმი. ერთი სიტყვით კლუბების კავშირის რაბის მესეურთა კავშირად იქცა, ხოლო მის პრეზიდიენტად აირჩიეს საქართველოს სპორტსაქონის ყოფილი თავმჯდომარე, ყოფილი მორაგბე ნუგარ ენდელაძე.

პროგნოზი ლიბა

1. აია	6	6	0	0	125:20	24
2. გელათი	6	4	1	1	78:45	19
3. ვესტა	5	4	0	0	235:14	16
4. მიმინო	5	2	1	2	74:68	12
5. რაში	4	1	0	3	35:95	7
6. შევარდენი	4	1	0	3	23:128	7
7. ყოჩები	4	0	2	2	30:91	6
8. იმერეთი	3	1	0	2	40:121	6
9. აკადემია	5	0	0	4	15:73	4

სპორტულ ფელაქაციებში

ამ დღემდე ში გაიმართა საქართველოს ფარიკაობის, მძლეოსნობის, სამბოსა და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ფედერაციების დამფუძნებელი კონფერენციები. ფედერაციების პრეზიდიენტებად აირჩიეს:

ფარიკაობა — საქართველოს ტურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის მდივანი, გაზეთ „დროის“ რედაქტორი, ყოფილი მოფარიკავე არჩილ გოგელია. მძლეოსნობა — ამ ფედერაციის ყოფილი თავმჯდომარე, საქართველოს ექსპერტორდსმენი თამაზ მდინარაძე.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა — სპორტული ნაწარმის ექსპერი-მენტული ფაბრიკის დირექტორი, ოლიმპიური ჩემპიონი როშან რურუა.

სამბო — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ნოდარ ევტიმიშვილი.

პირველი ტურნირის პირველი შედეგები

საჩოგბურთო კლუბ „მუხის ფოთო-ლის“ ვაჟთა ტურნირი, კოკისპირული წვიმის გამო ერთი დღის დაგვიანებით, 29 მაისს გაიხსნა. უამინდობის გამო შეჯიბრების დღის გადადება ჩოგბურთში მიღებულია. გადადებულია შეხვედრები „უიმბლდონზე“, „როლან გაროსზე“. თბილისის ტურნირის მოთავეები თვლიან, რომ ეს მათი პირველი „ნათესაობა“ ამ დიდ შეჯიბრებებთან.

— ტურნირის შესახებ ორი-სამი

თვით ადრე რომ გამოცხადებულიყო, დღეს რვის ნაცვალ ოცდაათამდე მონაწილე იქნებოდა, თუმცა ორგანიზატორთა მიმართ საყვედური არ გვეთქმის. საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. ჯერ პირველი ნახევრები ვფიქრობ, ეს ტურნირი პრესტიჟულ შეჯიბრებად ჩამოყალიბდება. — გვითხრა ერთ-ერთმა ფავორიტმა, სსრკ ნაკრების ყოფილმა წევრმა გია კუპრევიშვილმა.


გაიმართა პირველი შეხვედრები

ერთეულში. გია კუპრევიშვილმა სძლია ნიკა გულიშვილს (6:2, 6:3), დავით ისლამოვმა მიხეილ გაბრიჩიძეს (3:6, 6:0, 6:3), მიხეილ კუპრავამ ნიკა იმნაძეს (7:6, 7:6), ხოლო ლევან რაზმაძემ ირაკლი გაგოიძეს (6:1, 6:1). გამარჯვებული ოთხეული წრიული სისტემით გააგრძელებს ბრძოლას პირველი ადგილისათვის.

შეგახსენებთ, რომ ტურნირი კომერციულია.

ილია სურგულაძე

დაუსრულებელი კამათი ბესკოვთან



ნოდარ ახალკაც

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ მორიგი პრესკონფერენცია მოაწყო. ამჯერად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან ნოდარ ახალკაცთან. სხვათა შორის, ინიციატივა თვითონ ბატონ ნოდარს ეკუთვნოდა და ამის მიზეზზე ქვემოთ ვილაპარაკებთ.

იყო საჭირო, მაგრამ საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის სინის წყალობით თავს მომახვიესო. და ბესკოვს იქვე მოჰყავს „მაგალითები“, როგორ უცერემონიოდ ერეოდა ეს სამეფო მის საქმეში და სხვა. ნოდარ ახალკაცმა შეხვედრაზე დაწვრილებით ილაპარაკა, თუ სინამდვილეში რა მიზეზი ედო საფუძვლად მათ ნაკრებ გუნდში მიწვევას, ბესკოვმა იმის პირობაც ვერ დადო, რამ გუნდს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანდა. ამიტომ გახდა საჭირო თბილისისა და კიევის დინამოელთა უფროსი მწვრთნელების დახმარება, რადგან ამ გუნდებიდან თითოეულში 5-6 მაღალი კლასის ფეხბურთელი ირიცხებოდა. ხოლო ბესკოვს ძირითადად სპარტაკელების იმედი ჰქონდა და ამ იმედის უსაფუძვლოდ ყველა ხედავდა.

„სტანდარტთან“ ნახევარფინალში დაუმარცხდით. მაგრამ არც ბელგიელთა გუნდის თამაშის გაცნობის საშუალება მოგვეცა და ჩვენი გუნდის ექვსი წევრი კერძოდ, დარასელია, ყიფიანი, ხიზანიშვილი, ჩივაძე, სულაქველიძე და შენგელია ზედ თამაშის წინ გამოუშვეს ნაკრებიდან. არც მე მივდიოდი ხალისით ნაკრებში, რადგან „დინამოს“ ეს მაშინვე დაეტყობოდა ხოლმე... პრესკონფერენციაზე საუბარი, ცხადია, კარტულზე ფეხბურთის დღევანდელ მდგომარეობას შეეხო და ნოდარ ახალკაცმა ამ თემაზე ბევრ კითხვას გასცა პასუხი. იმაში, რომ საქართველოს ჩემპიონატში ძალზე ხშირია ჩხუბი და აყალ-მაყალი, მან, პირველ რიგში, კლუბურ ხელშეწყობაზე, მწვრთნელებზე და ფეხბურთელებზე დაადასტურა. მსაჯებიც ხშირად ტერორის ქვეშ სჭიან მატჩებსო. აღნიშნა მილიციის უმოქმედობაც, და ისიც, რომ ჯერ არცერთი საფეხბურთო ხულიგანი, თუნდაც მას მსახისათვის ფიზიკური შეურაცხყოფა მიეყენებინა, არ დასჯილა. იმედოდ კი მიიჩნია გაზრდილი, აფორტაყამდე მისული ინტერესი ფეხბურთისადმი რაიონებში და ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელის გამოჩენა.

შეხვედრით. ...490 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე. საბერძნეთის სპარსეთის ურცხველ ლაშქარი შეესია. ქვეყანა განსაცდელშია. სპარტა დანაშაულებს დახმარებას აგვიანებს. დრო არ ითმენს. ყოველ წუთს მოსალოდნელია



თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშების მართონელთა შეგირდებში გამარჯვებული ბერძენი ფოსტალიონი სპიროს (სპირიდონ) ლუსის.

ტრაგიკული ფინალი. და აი, მილტიალმა, ალყაშემორტყმულ ბერძენთა მთავარსარდალმა, გადაწყვეტილება მიიღო: სამეცდრო-სასიცოცხლო შეტაკება სპარსელებთან მართონის ვიწროებში უნდა გაიმართოს. მტრის ჯარბე მალაქს აქ ნაკლები მანევრირების საშუალება ექნება.

...ბრძოლა, როგორც ისტორიკოსები მოგვითხრობენ, სასტიკი და დაუნდობელი ყოფილა. მამულის დაცვის სურვილით ანთებულმა ბერძენებმა გატყვეს მტრის საბრძოლო სული და მართონის ვიწროებში სასტიკი მარცხი აგვიტყდა სპარსელებს. მტრის მცირერიცხოვანმა რაზმმა ბრძოლის ველიდან გაქცევილ უშველა თავს. მილტიალმა სასიხარულო ცნობით ათენს ჯარისკაცი ადრინა. ეს გახლდათ ბრძოლით მოღლილი მეომარი ფილიპიდი, რომელმაც სულმოუთქმელად გაიბრძინა 42

ამჯერად მხოლოდ სიფრსები

ქართველი გულშემატკივარი ყოველთვის მოიწონებს თავს ნონა გადრინდაშვილის საიუბილეო ტურნირით. იგი სამუდამოდ დარჩება ჯაღრაის ისტორიაში, როგორც უნიკალური შეჯიბრება, რომელშიც პირველად შეხვდნენ ერთმანეთს დიდოსტატი ქალები და ვაჟები.

Table with 11 rows and 11 columns showing chess match results between women and men. Columns include player names and numerical scores.

ამ შესანიშნავი ტურნირის სპორტულ-შემატკივრებით შედეგებზე საუბარს გაზეთის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ. მანამდე დაკვირვებულ მკითხველს ადვილად შეუძლია „ამაგეტყველოს“ ციფრები და ამოიკითხოს დაძაბული ბრძოლის მაჯისცემა.

Advertisement for 'საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარება' (Development of External Economic Relations of the Republic of Georgia) featuring the logo of the Foreign Trade Association.



100 მეტრზე რბენის მონაწილენი სტარტზე.

შეჯიბრება — რბენა ზეგრძელ დისტანციებზე მამაკაცთა ფიზიკური შესაძლებლობების გამოცდის მიზნით. 1777 წელს ინგლისელი პოეტელი რბენით ჩავიდა ლონდონიდან კენტერბერში. ამ 180-კილომეტრიან „სიამოვნებას“ ზუსტად ერთი დღე-ღამე დასჭირდა. მოკლე მანძილებზე რბენა ერთი შეხედვით თითქმის მარტივი საქმეა, მაგრამ ეს მოჩვენებითი სიმარტივე კოლოსალურ ფიზიკურ დატვირთვასა და ნერვულ დაძაბულობას გულისხმობს. საშუალო და გრძელ დისტანციებზე რბენას, სპარინტს განსხვავებით, უფრო ხშირად თეატრალურ სანახაობას აღარებენ, სადაც „დეკორაციის“ ხშირი ცვლა სიუჟეტის დრამატიზმს განსაზღვრავს. ნებისმიერ დისტანციაზე რბენას თავისი ისტორიულად სარწმუნო გმირები ჰყავს, თუმცა ლეგენდარულ ქვეულ სახელებსაც საკმაოდ


კილომეტრი და 195 მეტრი — მანძილი მართონიდან ათენამდე, წარმოთქვა ერთადერთი სიტყვა „ენეიკამენ“ (ჩვენ გავიმარჯვეთ) და სული დალია. სხვათა შორის, ამ ფაქტთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, მანძილი მართონიდან ათენამდე ორმოცდაორს კი არა, ოცდაჩვიდმეტ კილომეტრს შეადგენდა. რაც შეეხება ფართოდ გავრცელებულ და პოპულარულ 42 კილომეტრსა და 195 მეტრს, იგი თითქმის, 1948 წლის ლონდონის ოლიმპიადაზე დააწესეს, ვინაიდან ინგლისის დედოფალმა მართონელთა შეჯიბრების ფინის ნახვა ვინძორის სასახლიდან გამოუსვლელად ისურვა და დისტანცია ამის გამო დააგრძელეს.

(გარტყევა შემდეგ ნომერში)

რეპრინტის უძღვებ ნოდარ გუგუშვილი

წინ მთელი წელიწადია

ამორჩიეთ: კალიან კვირი ან კალიან იაფი



ვეტერანთა შორის
გამარჯვებული
ოლეგ
ხარაზიშვილი და მისი
ჩილდო

გარბენისა და კროსის მეტი რა გვინახავს, მაგრამ წლებადგომი აშკარად განსხვავდებოდა წინამორბედისაგან, და რადგანაც ეს აღვნიშნეთ, თანაც წერილის დასაწყისში, მოვალენი ვართ ისიც ვთქვათ, მაინც რაში იყო განსხვავება.

მთავარი, რასაც ხაზი უნდა გავსვას, ის იყო, რომ ხალხი ამჯერად ძალით კი არ „გამოურევიათ“ სტარტზე, როგორც ადრე ხდებოდა ხოლმე „მასობრიობის

ფეფტის“ მისაღწევად. ასეთი „მოძილიზაცია“ ნებისმიერ შეჯიბრებას აცლის ყველაზე საჭირო თვისებას — ხალხს ერთუზიანობას და, მონაწილეთა სიმრავლის მიუხედავად, უინტერესოსაც ხდის. ახლა კი გარბენმა მართლაც ზღვა ერთუზიანობა დაიკარგა, და თუკი იყო კიდევ ძველი „წესით“ მონაწილეთა გამოყვანის რამდენიმე შემთხვევა, ისიც ამ ზღვაში „ჩაიკარგა“.

ცხადია, ინტერესს აღვივებდა

საკმაოდ კარგი რეკლამა და, რაც მთავარია, ისეთი პრინციპი, როგორიც ჩვენში არც ერთ მსგავს ასპარეზობის მონაწილეებს არ ჰქონდათ. მსუბუქი ავტომობილი, იაბონური მაგნიტოფონები და სხვა ჯილდოები დიდი ცდუნება იყო მონაწილეებისთვის და ალბათ დიდი სტიმულიც, რომ თავი გამოეცადათ ხუთკლომეტრიან დისტანციაზე (მეტი სიზუსტისათვის ვიტყვით, რომ საასპარეზო მანძილი დაახლოებით 4,5 კილომეტრი იყო). საიდან არ ჩამოვიდა ხალხი გარბენში — მონაწილეობის მისაღებად. ზოგმა, ასეთი შემთხვევებიც ვიცო, გაზეთში პირველი განცხადების წაკითხვის შემდეგ დაიწყო ვარჯიში. ადგილი წარმოასდგენია, რა იქნება გაისადი გასულ შაბათს კი შეჯიბრებამ 800-მდე მონაწილეს მოუყარა თავი.

უნდა ითქვას, უცხოეთშიც, ასეთი ასპარეზობის მოსაწყობად თვეობით ემზადებიან, მთი უმეტესს თუ შეჯიბრება პირველად ტარდება. ამჯერად კი ამდენი დრო არ იყო. სულ მოკლე ვადაში უდიდესი სამუშაო გასწიეს სპორტის დეპარტამენტის საორგანიზაციო ჯგუფმა და მსაჯთა კოლეგიამ, რომელსაც მამია ტულუში ედგა სათავეში. ხშირი მასობრივი მანიფესტაციების გამო უკვე კარგად გაეგარჯებულმა ავტონისპექციამაც საიმედოდ გადაკეტა მთელი ტრასა თავისუფლების მოედნიდან ცრონულ სტადიონამდე. მართლაც სასიამოვნო სანახავე ყოფილა მძღოლსანთა შეჯიბრება მთლიანად „გაუმყინდელ“ ქუჩებში. მართალია, თვითონ ეროვნულ სტადიონზე, სადაც ერთბაშად ორი საფეხბურთო მატჩი გაიმართა, უფრო რთული ვითარება იყო და ბილიკებზე გარეშე ხალხი ზრეოდა (მსაჯებმა მხოლოდ ორი საათით ადრე შეიტყვეს, რომ კროსის ორგანიზაციაში ეროვნული გვარდია ვერ მიიღებდა მონაწილეობას. არადა, მისი იმედიც ჰქონდათ.) შეჯიბრებამ, კიდევ ვიმეორებ, მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თანაც გათვალისწინეთ, ეს პირველი გარბენი იყო.


მონაწილეები, როგორც ადრე ვწერდით, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით იყვნენ განაწილებული. ყველაზე დიდი ინტერესი, ცხადია, გამოიწვია უძლიერეს მძღოლსანთა და ვეტერანთა გამოსვლამ, რომელთა შორის გამარჯვებულსაც „ეფგულის“

მარკის ავტომობილი უნდა მიეღო.

20-39 წლის სპორტსმენთა შორის გაიმარჯვა თბილისელმა ოლეგ ხოხლოვამ და ეს მოსალოდნელიც იყო. ვეტერანთა შორის ფავორიტი, 40 წლის ოლეგ ხარაზიშვილი, კარგა ხანს „კვალში ედგა“ მთავარ მეტოქეს, თანატოლ ვალერი გედევანიშვილს (ორივე — თბილისელი), სტადიონის სიახლოვეს კი უცებ ტემპს უმატა და ასიოდ მეტრით ჩამოიტოვა იგი. გამარჯვებაში უკვე დარწმუნებული ხარაზიშვილი ფინიშისაკენ პირდაპირ მიდრინავდა და კინაღამ ხოხლოვასაც გაუსწრო, რომელსაც, ბოლოს, სულ რამდენიმე მეტრით ჩამორჩა. ფინიშთან ბედნიერ გამარჯვებულს გახარებული ახლობლები დახვდნენ. ცხადია, იქვე იყო მისი ჯილდოც — ცინცხალი „ეფგული“.

შთაბეჭდიანი სანახავე იყო გარბენის ფინიში ეროვნულ სტადიონზე. ზედიზედ ამთავრებდნენ დისტანციას ბავშვები, ახალგაზრდები, ხანში შესულები. რამდენიმე ათასი მაყურებელი ტაშით შეეგება ინვალიდების გამოჩენას ფინიშზე (გარბენის ტექნიკური შედეგები იხილეთ მე-6 გვერდზე)...

ზოგი ამბობს, ახლა ისეთი დრო დადგა, სავარჯიშოდ ვის სცალიაო. წმინდა წყლის დემაგოგია! გაისენეთ რამდენი მეტრი ჰყავს დღეს ადამიანის ორგანიზმს შხამქიმიკატების მთელი „პენიუ“, ფსიქოლოგიური სტრესები, საკვების ღარიბი არჩევანი, მეტისმეტად ინერტული ყოფა... ყველაფერ ამას გაეგარჯებულნი, ჯანმრთელი ორგანიზმი გაცილებით უკეთ უმკლავდება — ჰკითხეთ თუნდაც სპეციალისტებს. არადა, სავადმყოფოები პაციენტებს ვეღარ იტყვს, თანაც, რა დასაძალია, ეს მეტად ძვირადღირებული „სიამოვნება“ ბევრი, ძალიან ბევრი ჩვენი თანამემამულის და მთლიანად რესპუბლიკისათვის. ვარჯიში კი გაცილებით იაფი ჯდება, საამისოდ საკმარისია ადამიანმა ერთხელ სძლიოს საკუთარ თავს... უცხოეთში ჩასულები მხოლოდ მალაზიებსა და გასართობებს რომ ვაკვირდებით, ბარემ გავიცნოთ იმათი ცხოვრების წესიც, დავინახოთ, რარიგ აქვთ შეგნებულნი ჯანმრთელობის მნიშვნელობა და რას აკეთებენ სამი-სოდ, რომ ჯანმრთელი იყვნენ. ათეულ



ახსოვლტურ პირველობაში
გამარჯვებული ოლეგ ხოხლოვა.

მილიონობით ამერიკელი მოქალაქე სისტემატურად ვარჯიშობს, ყოველ-დღიურად დარბის ან საგანგებოდ და-დის, ეს მათ უხამსურობით როდი მოს-დით. იქაურ ეკონომიკურ მოდელს თუ ცალკეულ სტრუქტურებს ჩვენ, ვინ იცის, როდის გადმოვიღებთ, მაგრამ სა-კუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა (რაც მთლად ეგოისტური ჩვევა არ უნდა იყოს) ხომ შეგვიძლია ახლავე ვისწავლოთ...

სპორტის დეპარტამენტის დირექტორმა ბატონმა კახი ასათიანმა გამოაცხადა, რომ ამიერიდან თბილისის გარბენი ტრადიციული იქნება (იგი შესაძლებელია მალე საერთაშორისო შეჯიბრებადაც იქცეს). ასე რომ, წინ მთელი წელიწადია. ივარჯიშეთ, ივარჯიშეთ, მით უმეტეს, როგორც გამოცხადდა, პრიზები კიდევ უფრო მრავალფეროვანი, უფრო ღირფიანი-ციკრებული იქნება, განსაკუთრებით უფროსებისათვის. ერთი სიტყვით, ივარჯიშეთ!

გიორგი აპულიაშვილი

ოქრამ უსაბ არ გამოსწორდეს! შეცდომა 100 გრამ კონიაკად

ამ თვალუწვდენელ იმპერიაში სადაც არ უნდა წახვიდეთ, რა შეჯიბრებაც არ უნდა ნახოთ, ასპარეზობაზე მოფუ-სფუსე სპეციალისტებში ადვილად გამოარჩევთ დაბალნიონანთა თავი-სებურ კასტას. ეს არის! ავისი საქმესთან ექვიანობამდე მისული სიყვარულით დაკავშირებული, მისი ძირისძირობამდე მცოდნე და ერთგული ხალხი, ისეთისაა არ არსებობს სხვა ავტორიტეტი, სპორტსმენებისა და მათსავით საქმეში „ჩამოვარდნი“ კოლეგების გარდა. თუკი გსურთ რომელიმე სახეობას ღრმად ჩასწვდეთ, ასეთ ხალხთან საუბარი-ბევრს რამეს შეგძენთ და ბევრ რამეზე აგიხელთ თვალს, მით უმეტეს, რომ ისინი ხალხისაინად და მეფეური, შემწყნარებლური დიდსულოვნებით გაგიზიარებენ ცოდნას.

ამ სპეციალისტებს გარეგნულადაც გამოარჩევთ უბრალო სამოსითა და ჩაწითლებული თვალებით, ანდა ასეთივე ფერის ცხვირით. სულთ ცოდვილო, ამქვეყნიურ სიამეითგან ერთადერთი სასმელია მათთვის, რომელსაც ისევე ვერ ღალატობენ, როგორც საქმეს.

ერთმა ასეთმა სპეციალისტმა მეც გამიწვია სამსახური მოსკოვში, საკაფირო სპარტაკიდან. ახალგაზ-რდა ჟურნალისტს ცხენოსნურ სამშობლოში გამართული შეჯიბრების გაშუქება მომანდეს, მე კი თვით ასეთი სამშობლოს არსებობა პირველად ამ დავალების მიღებისას გავიგე. რა მექნა? ბიტცის სარბილზე მოფუსფუსეთა შორის ყველაზე წითელცხვირა მსაჯი შევარჩიე, ვუთხარი, იქ რა ხდება, ამის გაგება მინდა, თან შშია და მწყურია-მეთქი. რუს რომ ეტყვი, მწყურიაო, იშვიათია, რომ წილზე იფიქროს. მოკლედ, მალე ორივენი არყის ბოთლს

ვუსხდით და ყურადღებით ვუსმენდი გახალისებული ცხენოსნის სამსაათიან მონოლოგს. მერე, „განათლებულმა“, შედეგების ცხრილი შევათვალიერე, საქართველოს მწვრთნელებთან მივედი და თითქმის პროფესიული საუბარი გა-ვუმართე. მოკლედ, ჩვენი უსიტყვო გარიგებითა და ჩვენ-ჩვენი „საქონლის“ გაცვლით მეც კმაყოფილი დავრჩი და მსაჯიც, ის კიდევ უფრო.

მაგრამ ორი დღის შემდეგ კიდევ ერთ წითელცხვირა მსაჯთან გარიგება, რომელსაც ფაქტობრივად სახელშეკ-რულებო სახე ჰქონდა, ასეთი ბედნიერი ფინალით კი არა, დიდი, გრანდიოზული სკანდალით დამთავრა.

სამქილის ბოლო სახეობის, ცხენოსნური კროსის წინ ერთ-ერთი ჩვენი მეზობელი რესპუბლიკის გუნდი მსაჯს მოუჩივდა, რამდენ „ზაიკლას“ გვაბატებ, იმდენ ას გრამ კონიაკს მიიღებო. ეს „ზაიკლი“ ცხენის შეყოვნება, ბარიერთან გაჩერებაა, რისთვისაც მხედარი საჯარიმო ქულებით ისჯება. მოქრთამული არბიტრი კი ბიტცის ტყეში ყველაზე რთულ წინაღობასთან იდგა — დიდ ორმოს მაღალი ბარიერი მოჰყვებოდა.

ეტყობა, იმ გუნდს ტყუილად არ უნდოდა მსაჯის მოსყიდვა — მათმა ცხენებმა „ზაიკლი“ ბოლომდე გააკეთეს და კმაყოფილი სპეციალისტი გუნდში ითვლიდა „შემოსავალს“. შეჯიბრება რომ დამთავრდა, ანგარიშის გასწორება მოხდა ჯენტლმენურად — იქვე, ადგილზე. ცუდი ის იყო, რომ ჯილდომ დაჯილდოებულის მსუნავობის გამო „ზაიკსკამდე“ ვერ მიიღწია და მყისვე იქნა რეალიზებული. ნაქებმა კონიაკმა მშობერსა და დამაშვრალ მსაჯს მალე მო-ჰკვეთა მუხლები, მან ბილიკს გადაუხვია და იქვე, ბუნებში შეუღდა „ქულტუ-

რულ დასვენებას“, ესე იგი — ძილს. ამასთან მას ამ ვითარების თვალსაზრისით „მაინე“ ჩვევაც აღმო-აჩნდა: თურმე ზერინვა არ სწევოდა და უკვე ჩამოწოლილი სიბნელეში მთლად უჩინარი გახდა.

წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩაც-ვიდებოდნენ მიძინებულის ბოზოლა კოლეგები, — მათ ხომ ცხენ-მხედართა საბოლოო შედეგები უნდა შეეჯამებინათ და პრიზიორები დაესა-ხელებინათ, მაგრამ ერთი ბუნქტის მონაცემები აკლდათ. ბიტცის ტყეში ტოტალური ძებნა გამოცხადდა, მაგრამ ჩირგვში მიძინარე მეჭრამე მსაჯის პოვნა ვერც იოლად არ მოხერხდა. თან იგი, როგორც ვამბობთ მხედარი, პატარა ტანისა გახლდათ, რაც კიდევ უფრო უძნელებდა საქმეს ხელფარნიან ხალხს.

მეც, სხვებთან ერთად, გვიანობამდე ველოდი სამაშველო ექსპედიციის დაბრუნებას, რადგან მწვრთნელებმა მითხრეს: ჩვენი ანგარიშით, საქართველოს გუნდმა მეორე ადგილი დაეიკავეთო.

დამის პირველი საათი იყო დაწყებული, როცა დაქარვული მსაჯი მოიყვანეს თუ მოიტანეს. ის ჭერ კიდევ კონიაკით იყო გაბრუნებული და ნათელი პატაკი ვერ ჩააბარა უფროსობას, მაგრამ თან წიგნაკა აღმოაჩნდა, რომელშიც ყველა მონაცემი ჰქონდა შეტანილი, ცხადია, კონიაკში გაყვდილო დარღვევების გარდა. ისინი საერთო ჯამში შეიტანეს და მეორე დღეს ჩვენი გუნდი მართლაც ვერცხლის მედლებით დააჯილდოვეს.

— რით დასჯით ამ ლოთ მსაჯს? — ვკითხე მის წინაშის კოლეგას.

— დასჯი, თორემ, უცებ არ გამოსწორდეს. — მიპასუხა მან.

გიორგი ჩოჩიშვილი

საბავრობი აფარუმ, პროვინული ჩემპიონატო?

ამა წლის იანვარში, როგორც უკვე იცით, დაიწყო პირველი ეროვნული ჩემპიონატი ხელბურთში, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ასეთი უსუსური და არა-ორგანიზებული შეჯიბრება იშვიათად მიხატება.

არავითარი რეკლამა! მსაჯთა ნაკლებობის გამო მატჩებს ხშირად სხვა გუნდის მწვრთნელები და მოთამაშეები სვლიან. თამაშებს ხშირად არ ესწრება კომისარი, მოკლულებს სამედიცინო მომსახურება...

გარდა ამისა, საინტერესოა რესპუბლიკის ჩემპიონატი მხოლოდ ერთი ლიგით რატომ შემოსაზღვრა? იქნებ მას უმაღლესი ლიგა ან „ა“ ჯგუფი დავარქვათ. მაგრამ უფრო დაბალი რანგის ჯგუფები ან ზონები ხომ უნდა იყოს. საინტერესოა ბოლო ადგილზე გასული გუნდები დატოვებენ ჩემპიონატს თუ არა? თუ დატოვებენ, ჩემპიონატი შეესებას საიდან მიიღებს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იქნებ სხვებმა ითავონ, ჩვენ კი თვალთ მიაგადევნოთ იმას, რაც ამ ერთადერთ „ლიგაში“ ხდება.

ჩატარდა მე-5, ბოლოს წინა ტური. ერთპიროვნულ ლიდერად მოგვევლინა საქართველოს ტექნიკური უნი-ვერსიტეტის ხელბურთელთა გუნდი, რომელმაც ჭერ ფოთის „ოქროს ვერძი“ დაამარცხა ორ შეხვედრაში (33:25 და 30:29), შემდეგ კი ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი — ვეტერანთა გუნდი (33:27 და 31:27). ამ ბოლო შეხვედრებზე განსაკუთრებით მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება, რადგანაც პირველი თამაში კი დაიწყო, ოღონდ ალარ დამთავრებულა: 22-ე წუთზე მსაჯმა თამაში შეიტოვა. ამის მიზეზი იყო დავა ვეტერანთა და მსაჯს შორის. ეს საკითხი უნდა განიხილოს საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ და სადისციპლინო

კომისიამ (ჩაშლილი მატჩი კი განმეორებით გაიმართა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტუდენტთა გამარჯვებით დამთავრდა — 31:27).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ჩემპიონატს უაგს არიდებენ მონაწილე გუნდები. IV ტურში სათამაშოდ არ გამოცხადნენ ქუთაისელები, ხოლო V ტურში — ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი თელავის გუნდი (ორივეს წაგება ჩაეთვალა, ანგარიშით — 0:10). ამ საკითხის მოგვარებაზე აუცილებელია, თორემ, ჩემის აზრით, ჩემპიონატს ეროვნული კი არა, თბილისის ჩემპიონატი დაეარქმევა.

ამ ტურში მინდა — გამოვეყო მედიკოსების, შენგელის, მკვებამდის, ბოთრამდის, მინდელის, უგულავას (სტუ), ალექსანდრე ანპილოვოვის, ვახტანგ ბერიაშვილის (ვეტერანები), ძუკის, სეგოპოლისოვის („ოქროს ვერძი“), გონა დემეტრაშვილის, მერამ როგავას (სსფკ) კარგი, გააზრებული და შედეგიანი თამაში. მთ გვერდში აღბათ მალე სხვები ამოუდგებიან და ერთმანეთთან სპორტულ ბრძოლაში გაიზრდებიან ისეთი ხელბურთელები, როგორებიც არც ადრე აკლდა საქართველოს, და შემდეგშიც დიდ სახელს მოუტანენ ქართულ ხელბურთს.

ზვიად შათირიშვილი

გათამაშების ცხრილი		
	თ.	ქ.
1. სტუ	14	20
2. ვეტერანები	16	26
3. სსფკ „მამული“	14	22
4. „ოქროს ვერძი“ (ფოთი)	16	21
5. მართე I	14	22
6. სსფკ	14	19
7. თელავი	14	18
8. ზოივეტი	16	17
9. მართე II	16	6
10. ქუთაისი	14	1



„სისუფარი უზაპაბის“ ტრიუმფი

ამერიკელი კალათბურთის მოყვარულებსთვის მარტის ბოლო უიკენდში, შეიძლება თქვას, დასვენების დღეები არ ყოფილა. თვის დამლევეს მათ დიდი ემოციური სტრესის გადატანა მოუხდათ, თუმცა ეს დღეები ალბათ მაინც სასიამოვნო მოგონებად დარჩებათ. მართალია, როგორც სპორტული ასპარეზობის წესია, ახლაც ზოგმა მოიგო, ზოგმა წააგო და იმედი გაუქრულა გულშემოტიერებს, მაგრამ იმას ვერაფერს უარყოფდა, რომ ჩემპიონატი ნამდვილ ზეიმად იქცა და ეს ზეიმი კალათბურთის ყველა მოყვარულისთვის იყო განკუთვნილი.

აშშ-ის სტუდენტთა ჩემპიონატის დასკვნითი მატჩები ინდიანაპოლისში — ქვეყნის ყველაზე „საკალათბურთო“ შტატის დედაქალაქში ჩატარდა. რატომ არის ინდიანა ყველაზე „საკალათბურთო“ შტატი? იმიტომ, რომ აქ თვით კოლეჯების მატჩებსაც კი ხუთი-ათი ათასი მაყურებელი ეწყება. ერთი წლის წინ შტატის ნორჩ კალათბურთელთა პირველობის ფინალურ შეხვედრას 40 ათასი კაცი დაესწრო ეს მსოფლიო რეკორდი მოსწავლე კალათბურთელთა შეჯიბრებისთვის. შარშანდელი მატჩი ფეხბურთის დაბურთული სტადიონის — „ბუნიონ დოუმის“ სარბიელზე ჩატარდა. და აი, ახლაც ამერიკელ კალათბურთის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში ეს მოედანი აღმოჩნდა. „დიდი ოთხეული“ მატჩებზე ბილეთები კარგა ხნით ადრე გაიყიდა, მაგრამ მაყურებელთა რაოდენობის რეკორდი ამჯერად არ გაუტყობესებულა, რადგან სტუდენტთა შეხვედრებს ზოგჯერ ბევრად მეტი გულშემოტიერა ესწრება. არც სატელევიზიო რეკორდი დამყარებულა. ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ

ფინალში ნევადასა და ინდიანის უნივერსიტეტების სტუდენტები გავიდოდნენ. ახლა კი სარეკორდო ითვისება ისევ 1979 წლის ფინალური მატჩის ტელეკომენტატორი, როცა ერთმანეთს შეხვდნენ მიჩიგანის გუნდი და ინდიანის შტატის უნივერსიტეტის (არ ავტორით ინდიანის უნივერსიტეტში) კალათბურთელები, რომელთა რიგებში შესაბამისად თამაშობდნენ დღევანდელი პროფესიული კალათბურთის „ვარსკვლავები“ ირვინ ჯონსონი და ლარი ბერდი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კალათბურთის საღამოების კარგად მოწყობილი სცენარი. აქ გათვალისწინებული იყო თვით უმცირესი დეტალებიც კი, რაც მატჩებს განსაკუთრებულ, სახეიმი ელფერს აძლევდა. ამ დღეებში ტრიბუნებზე ნახავდით უმაღლეს სახელმწიფო მოხელეებსაც და კალათბურთით გატაცებულ ბიჭუნებსაც. აქ ყველა თანაბარია. მართალია, ხდება გამონაკლისიც: „ბუნიონ დოუმს“ ალტაცების გუგუნე გადაუღვლის, როცა დარბაზში შემოიღონ საპატიო სტუმრები, ლეგენდარული კალათბურთელები უილტ ჩემბერლენი, ბილ რასელი, ოსკარ რობერტსონი, ჰარიმ აბდულ-ჯაბარი, ლარი ბერდი თუ სხვა სახელგანთქმული ვარსკვლავები.

„დიდი ოთხეულის“ წევრადღე შემაღებლობას მიმომხილველებმა ერთი პლუს სიამოვნება უწოდეს: ერთი გუნდი მართლაც ყურადღების ღირსია, დანარჩენები კი მხოლოდ კერძისთვის აუცილებელ გარსიანად შეიძლება ჩაითვალოს. სი-ბი-ეს-ის ტელეკომენტატორმა ბილი პარკერმა რეპორტაჟში თქვა: სამი გუნდი ინდიანა, პოლისში ჩამოსვლითაც გაბარებულია, მეოთხეს კი სიხარულს მხოლოდ ჩემპიონობა მოუტანსო. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ამ მეოთხეში იგი გულისხმობდა ნევადას გუნდს, რომელსაც ბევრი

მიმომხილველი ჩემპიონატში წარმატებას უწინასწარმეტყველებდა. საერთოდ, პროგნოზის მიხედვით, ამჯერად ფინალში დასავლეთის ორი წარმომადგენელი უნდა შეხვედროდა ერთმანეთს. ფიქრობდნენ, რომ ჩრდილოეთ კაროლისის გუნდი ვერ შეძლებდა „თაფხედი“ კანზასელი სტუდენტების სენსაციური წინსვლის შეჩერებას, ნევადა კი, რომელიც შარშანდელ ფინალში ადვილად გაუსწორდა დიუკს, ამჯერადაც არ გაუშვებდა ხელიდან ჩემპიონობის მოპოვების შანსს. საინტერესოა, რომ 1973 წლიდან ეს შეჯიბრება ზედიზედ ორჯერ არცერთ სტუდენტურ გუნდს არ მოუგია. ასე რომ მომხდარყო, ლას-ვეგასის სტუდენტები გაიმეორებდნენ ბოში ნაიტის გუნდის თხუთმეტი წლის წინანდელ რეკორდს — მთელ სეზონს დაუმარცხებლად გაივლიდნენ.

ნახევარფინალამდე ჯერ — ტარკანის გუნდს 34 შეხვედრაში 34 გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული. ამასთან, ნევადა მხოლოდ ერთ მატჩში ჩამორჩა ანგარიშში პირველი ტაიმის შემდეგ, დანარჩენ შეხვედრებში კი უპირატესობა თავიდან ბოლომდე მის მხარეს იყო. დიუკელ „ვიცე-ჩემპიონებს“ ოცდაათი მატჩი მოგებული ჰქონდათ, შვიდი კი — წაგებული. ამასთან, გუნდმა შეძლო შეინარჩუნებინა თავისი „საჩემპიონო“ შემადგენლობა, ლარი ჯონსონი და სტივის ოგბანა კი აშშ-ის ნაკრების სიმბოლურ სასტარტო ხუთეულში შეიყვანეს. მათ გარდა ნაბ-ს კლუბების მიწვევებაც „ჯიბში“ ედოთ გრეგ დიტონს და ანდრეს პაიტის. ნევადას გუნდის წევრთა საშუალო ასაკი ოცდაორი წელი იყო, დიუკელი კალათბურთელებისა კი, რომლებსაც შარშანდელს შემდეგ სასტარტო შემადგენლობის სიამოვნება მოთამაშე გამოაკლდათ — ცხრაშვიდი. სამაგიეროდ, როგორც ყველა აღნიშნა, დეაქცეზებული გამთამაშებელი ბოშ პარლი

და თავდაშსხელი ქრისტიან ლეტერი. სწორედ ამ ბიჭების იმედი ჰქონდა დიუკელ სტუდენტთა მწვრთნელს მაიკ კშიშევსკის. ნახევარფინალურ მატჩში ლას-ვეგასის გუნდთან მან აქცენტი ამ წყვილზე გადაიტანა. მოთამაშეებმა გაამართლეს მწვრთნელისა და გულშემოტიერების იმედი. ახალგაზრდობა შეუპოვრად იბრძოდა მთელ მოედანზე და ტოლს არაფერში უდებდა გამოცდილ მეტოქეებს. ხან ერთი გუნდი დაწინაურდებოდა, ხან მეორე. მატჩის დამთავრებამდე 14 წამით ადრე ანგარიში თანაბარი იყო — 77:77. აქ სწორედ ლეტერმა გამოიჩინა შესაშური სიმტკიცე და ორი ზუსტი საჯარიმო სროლით მატჩის ბედი გადაწყვიტა — 79:77. ეს წაღვეანდელი ტურნირის ყველაზე დიდი სენსაცია იყო.

მაიკ კშიშევსკისა და მის ბიჭებს ღირსეულად მოპოვებულ გამარჯვებას ულოცავდნენ. ამ დროს მათ უკვეცოდნენ, რომ ფინალში კანზასის გუნდს უნდა შეხვედროდნენ, რომელმაც ჩრდილოეთ კაროლინას სტუდენტებს მოუგო — 79:73. სხვათა შორის, წარმატებას ულოცავდნენ ჩემპიონატის ყველაზე უიღბლო მონაწილის — ინდიანის გუნდის მწვრთნელ ბოშ ნაიტსაც. მისმა გუნდმა კიდევ ერთი წლით შეინარჩუნა დაუმარცხებლობის რეკორდი.

ფინალური შეხვედრის დაწყებამდე უმეტესობა ფიქრობდა, რომ ნევადას გუნდთან გამარჯვებით ფრთაშესხმული დიუკელები კანზასელ კალათბურთელებსაც დაამარცხებდნენ. ეს ვარაუდი სარწმუნო ჩანდა იმიტომაც, რომ კანზასის გუნდი ჩვეულებრივზე სუსტად გამოვიდა ნახევარფინალში,

თუმცა მოიგო მატჩი. ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად ფინალში მას ისევ უნდა ეთამაშა, როგორც ინდიანის გუნდთან მოგებულ მატჩში. მატჩის მწვრთნელ რაი უილიამსის შეგირდებმა, როგორც იტყვიან, შეუძლებელი ვერ შეძლეს. დიუკელები თითქმის მთელი მატჩის მანძილზე პირველობდნენ. ისევ გამოიჩინა თავი პარლი-ლეტერის წყვილმა. პირველი ვიკტორიული პასებით წარმატებადა პარტიორთა თამაშს, მეორე უნაკლოდ თამაშობდა ფარკვეშ და თავის გუნდს 18 ქულაც მოუტანა. ლეტერი „დიდი ოთხეულის“ საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. მისმა გუნდმა, რომელსაც



დიუკის უნივერსიტეტის გუნდის უფროსი მწვრთნელი მაიკ კშიშევსკი ავტოგრაფებს არიდებს.

„ბლუ დევილს“ („ცისფერი ეშმაკები“) უწოდებენ, შეხვედრა მოიგო ანგარიშით 72:65 და ამერიკის სტუდენტური კალათბურთის ისტორიაში პირველად მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა.

ამგვარად, მორიგი რაუნდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის აღმოსავლეთის გამარჯვებით დასრულდა.

სოსო მათიკაშვილი,
„სარბიელს“ კორესპონდენტი აშშ-ში.
ნო-ოკრა.

თარჯმობანი, რომელსაც ფორინაჰის გული აქვს

ლიეკ-პლენსდში, ამერიკელ ბობსლეისტთა საწვრთნელ ბანაკში, ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო. უჩვეულო გახლდათ მხოლოდ ის, რომ ერთ-ერთი ეკიპაჟის შემადგენლობაში „ბობს“ მართავდა... ედვინ მოზესი, ოლიმპიური ჩემპიონი 400 მეტრზე თარჯმობანში. ჟურნალისტები ჯერ კიდევ შარშან შემოდგომიდან ელოდნენ ჩემპიონთან შეხვედრას. ახალ ამბულაში, როცა გამოჩენილმა მორბენალმა გადაწყვიტა ზაირის სახეობაში ეცადა ძალა, მას ინტერვიუ არავისათვის მიუცია. მოზესი ამ ხნის მანძილზე თავს არიდებდა პრესის წარმომადგენლებთან საუბარს, მთელი გულისყური ვარჯიშზე ჰქონდა გადატანილი.

ჩემი გადაწყვეტილება ბევრმა ჩვეულებრივ სარეკლამო ტრიუკად მიიჩნია, მე კი ამ საქმეს ძალიან სერიოზულად ვუყურებდი, ჩემს სიმართლეს დისარწმუნებლად დრო იყო საჭირო. აი, ახლა უკვე მჭერა, რომ არ შევმცდარავარ, — ამბობს 35 წლის ედვინ მოზესი, რომელიც თითქმის ათ წელიწადს განუყოფლად ბატონობდა

მსოფლიო სარბიელზე.

— მძლეოსნობის საქმე როგორღა იქნება?

— მძლეოსნობის შიტოვება არც მიფიქრია. დღესაც უწინდებურად ვვარჯიშობ ჩემს ძირითად სახეობაში. მართალია, დატვირთვა ცოტა შევამცირე, მაგრამ „დანაკარგს“ ბობსლეისტთა გუნდში ვარჯიშით ვინაზდაურებ.

— მაინცდამაინც ბობსლეი რატომ აირჩიეთ?

— მე წარმოშობით ოპიონიდან ვარ. იქ თოვლი არ არის და ზამთრის სახეობებში ვარჯიშის საშუალებაც არასოდეს მქონია. თბილამურებზეც კი ვერ ვდგები. მაგრამ ბობსლეისტების შეჯიბრებების ეჭვარა ბავშვობიდანვე გაგიჟებთ მიყვარდა. ძალიან მიყვარდა ციკაბო დადმარტზე თვითნაკეთი გორგოლაჰებიანი ცეკით სრიალიც.

— და ახლა, ამდენი წლის მერე, ისევ გადაწყვიტეთ ბავშვობის დაბრუნებოდით?

— ყველა მოწოდებული ადამიანი გულის სიღრმეში ცოტათი მაინც ბავშვი რჩება

და გამუდმებით სიახლისკენ, შეუცნობლისკენ მიისწრაფვის. ერთ მშვენიერ დღეს ახალი ემოციები, ახალი შთაბეჭდილებები მომენტარა. მეც ადღევი და „ბობი“ ამოვარჩიე.

— პირველი შთაბეჭდილებები როგორი იყო?

— ო, ბობსლეიმ თავიდანვე უდიდესი სიამოვნება მომანიჭა.

— ზოგიერთი ამბობს, ხალხი უნდა ალაპარაკოს და ბობსლეიში ვარჯიში იმითმდ დაიწყოს...

— ამისათვის სხვა, უფრო უბიფათო ხერხებიც არსებობს. მოსახვევებში „ბობი“ ზოგჯერ საათში 120 კილომეტრზე მეტ სიჩქარეს ავითარებს. ამ დროს მის დასამორჩილებლად მარტო ისტატობა არ კმარა — „ცივი გონება“ და ნებისყოფა გჭირდება. ბობსლეი ნერვებსუსტი ხალხის სპორტი არ არის.

— პირველად სად დაიწყეთ ვარჯიში?

— ლიეკ-პლენსიდის ბობსლეის სკოლაში, სადაც ამ ვიკაცურ სახეობის საიდუმლოებებს მაზიარეს... უკვე ბიოლოგის დიპლომი მაქვს, თუმცა, უნდა გამოვტყდ, პოსახვევებში ჯერ კიდევ

ვგრძნობ ხოლმე შიშს. მაგრამ მიყვარს საკუთარი თავთან შეჯიბრება, საკუთარი თავის დაძლევა. მე მგონი, მძლეოსნობაშიც ასე იყო. სპორტული კარიერა 110 მეტრზე თარჯმობანით დავეწყე, მაგრამ ერთხელ მწვრთნელებმა თქვეს, რომ მძლეოსნობაში 400 მეტრზე თარჯმობანით რბენაზე რთული დისტანცია არ არსებობს, და სწორედ მაშინ გადავკეთე საბოლოო არჩევანი — უფრო, გრძელ დისტანციებზე დავიწყე რბენა.

— როგორ მიიღეს ბობსლეისტთა იჯახ-ში?

— კარგად. ჩემი ახალი მეგობრები გრძნობენ, რომ საქმეს სერიოზულად ვეკიდები და ყოველმხრივ მეხმარებიან.

— გუნდში რა ფუნქციებს ასრულებთ?

— მწვრთნელები ჩემი სისწრაფის გათვალისწინებით ხშირად „გამქანებლის“ როლს მავისრებენ. ამისთვის წონაში მომატებაც კი დამეჭირა. ადრე 77 კილოგრამს ვიწონიდი, ახლა — 83-ს. მე

თვითონ უფრო „ორიანის“ ან „ოთხიანის“ ბიოტობა მინდა. მაგრამ, ვფიქრობ, ოლიმპიადებზე უფრო სწორედ „გამქანებლად“ გამოვალ. აქ უფრო ძლიერი ვარ.

— იმედი გაქვთ, რომ ოლმპიადის ზამთრის თამაშებში მიიღებთ მონაწილეობას?

— ისე რა აზრი აქვს დროის დაკარგვას?


— ბარსელონის ზაფხულის

ოლიმპიადა?

— ბარსელონაში ისევ 400 მეტრზე თარჯმობანში გამოვალ.

— მომავალში რა გეგმები გაქვთ?

— მერე მძლეოსნობას დავემშვიდობები. რაც შეეხება ბობსლეის, ვფიქრობ, 1994 წლის თამაშებშიც



ედვინ მოზესი

გამოვალ. მერე კი... წლებს საწარმოს ხელმძღვანელის დიპლომი მივიღე, მაქვს ფიზიკოსისა და მათემატიკის დიპლომებიც. შემძლია „ბიზნესის მოკიდო ხელი, ალბათ უფრო სპორტულს. თუმცა, პოლიტიკაც ძალიან მაინტერესებს.

მომაზადა

„გაღვაწალაოაზვილაზა“

პელოსპორტი

GIRO D'ITALIA

კენჭულ სარბიანაზე (იტალია) დაიწყო სახელგანთქმული „ჯირო დიტალია“, რომელიც „ტურ დე ფრანს“-თან ერთად მიწვეულია მსოფლიოს უდიდეს შეჯიბრებად საგზაუკეთლო ველორბილში. ეს „ჯირო“ 74-ე სტარტია, რომელშიც მსოფლიოს 20 საუკეთესო გუნდის 180 მრბოლი მიიღებს მონაწილეობას, თითოეული გუნდიდან 9-9. პირველი ნომერი მიეკუთვნა შარშანდელ რბოლაში გამარჯვებულს, იტალიელ ჯანი პუნიოს. ბევრი სხვა მონაწილე არანაკლები ძალისაა, თუნდაც ამერიკელი გრეგ ლეზინი ან ესპანელი პედრო დელგადო დაყასახლოთ.

გთავაზობთ „ჯირო დიტალიას“ ყველა გამარჯვებულის ვინაობას (გრაფიკაში სადავრობა არ უნერიათ მხოლოდ იტალიელ მრბოლებს).


1909 ლუიჯი გაანა	1932 ანტონიო პეზენტი	1956 ჩარლი გაული (ლუკსემბურგი)	1975 ფაუსტო ბერტოლი
1910 კარლო გალუტი	1933 ალფრედო პინდა	1957 გასტონე ნენინი	1976 ფელიჩე ჯიომონდი
1911 კარლო გალუტი	1934 ლუკაო გუერა	1958 ერკოლე ბალდინი	1977 მიხეილ პოლენტიერი (ბელგია)
1912 „ტაბლას“ გუნდი	1935 ვასკო პერეგამასკი	1959 ჩარლი გაული (შვეიცარია)	1978 იოანე დე მუნეტი (ბელგია)
1913 კარლო ორინი	1936 ჯინო ბარტალი	1960 ჟაკ ანტუილი (საფრანგეთი)	1979 ჯუზეპე სარინი
1914 ალფრედო კალციოლარი	1937 ჯინო ბარტალი	1961 არნალდო პამპინი	1980 ბერნარდო ინი (საფრანგეთი)
1919 კოსტანტე ჯორაფენიო	1938 ჟოვანი ვალუტი	1962 ფრანკო ბალმამონი	1981 ჟოვანი ბატალინი
1920 გაეტანო ბელონი	1939 ჟოვანი ვალუტი	1963 ფრანკო ბალმამონი	1982 ბერნარდო ინი (საფრანგეთი)
1921 ჟოვანი ბრუნერო	1940 ფაუსტო კობი	1964 ჟაკ ანტუილი (საფრანგეთი)	1983 ჯუზეპე სარინი
1922 ჟოვანი ბრუნერო	1946 ჯინო ბარტალი	1965 ვიტორიო ატორინი	1984 ფრანკო ბალმამონი
1923 კოსტანტე ჯორაფენიო	1947 ფაუსტო კობი	1966 ჯანი მიტა	1985 ბერნარდო ინი (საფრანგეთი)
1924 ჯუზეპე ენრიჩი	1948 ფიორენცო მანი	1967 ფელიჩე ჯიომონდი	1986 რობერტო ვიზენტინი
1925 „ალფრედო პინდა“	1949 ფაუსტო კობი	1968 ედი მერესი (ბელგია)	1987 სტივენ როუზი (ირლანდია)
1926 ჟოვანი ბრუნერო	1950 პუკო კობლეტი (შვეიცარია)	1969 ფელიჩე ჯიომონდი	1988 ლორან პინიონი (საფრანგეთი)
1927 ალფრედო პინდა	1951 ფიორენცო მანი	1970 ედი მერესი (ბელგია)	1989 გრეგ ლეზინი (აშშ)
1928 ალფრედო პინდა	1952 ფაუსტო კობი	1971 გოსტა პეტერსონი (შვეიცია)	1990 ჯანი პუნიო
1929 ალფრედო პინდა	1953 ფაუსტო კობი	1972 ედი მერესი (ბელგია)	
1930 ლუიჯი მარკიოზი	1954 კარლო კლერინი (შვეიცარია)	1973 ედი მერესი (ბელგია)	
1931 ფრანკო კამბუო	1955 ფიორენცო მანი	1974 ედი მერესი (ბელგია)	

მონრეალი

1990 — ანტონ სენა (ბრაზილია)
1989 — ბერი ბუტენი (გერმანია)
1988 — ანტონ სენა (ბრაზილია)
1987 —
1986 — ნაიჯელ მენსელი (დინი ბრიტანეთი)

ფორმულა 1 ავტორბოლაში კანადის დიდი პრიზის გათამაშება მონრეალში 1978 წლიდან ტარდება (გარდა 1987 წლისა). ავტორბოლაში მონაწილეობის უფლება ლაგერენტის მდინარეზე ხელოვნურად შექმნილ კუნძულ ნორტ დამზე. სწორედ აქ, მშობლიურ ტრასაზე მოიგო თავისი პირველი დიდი პრიზი ცნობილი კანადელი პილოტი ჟილ ვილნევე. 1982 წელს იგი ბელგიაში რბოლის წინა დღეს, ვარჯიშისას დაღუპა. მისი ხსოვნის პატივსაცემად ავტორბოლაში ვილნევის სახელი ეწოდა.

რბოლის დროს პილოტები 60-ჯერ უფროსი გარს 4390 მ სიგრძის წრეს. ეს ჯამში 307,3 კმ-ს შეადგენს. ტრასის პროფილი საკმაოდ რთულია და ამიტომ ჩქაროსნულ-



CANADA

თა რიგს არ განეკუთვნება — შარშანდელმა გამარჯვებულმა ანტონ სენამ, თავისი „მაკლარენით“, დისტანცია 179,114 კმ/სთ საშუალო სიჩქარით გაიარა. ამ რბოლაში კიდევ ერთი რეკორდი დამყარდა — ერთი წრე ყველაზე სწრაფად გაიქროლა სენას თანაგუნდელმა ავსტრიელმა გერჰარდ ბერგერმა — საათში 192,55 კმ სიჩქარით.

ალსანიშნავია, რომ მონრეალის ტრასაზე ყოველ წელს იცვლებიან გამარჯვებულები. ზედიზედ ორჯერ აქ ვერაგინ შეძლო პირველობა. საინტერესოა ისიც, რომ ფორმულაში



ასპარეზობის 10 წლის მანძილზე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ალენ პროსტმა ვერც ერთხელ ვერ მოახერხა კანადის დიდი პრიზის მოგება.

ინგეპერ სტენმარკი



ონატებსა და თაისის გათამაშებებზე მოპოვებული შედეგები. ლიგენ-დარულმა სკანდინავიელმა თოვლიან ტრასებზე ეს გამარჯვებები მტკიცედ იუგოსლავიის კონცერნ „ელანის“ თხილამურებით მოიპოვა.

სტენმარკმა რამდენიმე წელია აქტიურ სპორტს თავი დაანება, მაგრამ ერთგული დარჩა ფირმისა, რომლის პროდუქცია დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მაღალი კლასის სამთოთხილამურეთათუ მოყვარულთა შორის. სტენმარკმა ახლანახან „ელანთან“ ახალი თანამშრომლობის კონტაქტს მოაწერა ხელი და ფირმის საერთაშორისო მენეჯერად

ახალ აპკლუაში

სახელგანთქმულმა შედემა სამთოთხილამურებ ინგეპერ სტენმარკმა სპორტში ყველა მწვერვალს დაიპყრო, თანაც არაერთხელ. მის კოლექციას ამჟღავნებს ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიო ჩემპი-

ონისა. როგორც ჩანს, სტენმარკი ახალ ამბულაში თავს მშვენივრად გრძნობს. ამაში დარწმუნდა ყველა, ვინც „ელანის“ ახალი თანამშრომლის პრეზენტაციას მოვიდა. ამჯერად ინგეპერი ჟურნალისტთა წინაშე წარსდგა არა ჩვეული სპორტული ფორმით, არამედ ნაცრისფერი ბიჭკით, თეთრი პერანგითა და პალსტუხით. ისე, როგორც მაღალი კლასის მენეჯერს შეეფერება.

„ელანმა“ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩემს წარმატებებში, — განაცხადა სტენმარკმა, — იუგოსლავიელი კოლეგები ყოველთვის მხარში მდგნენ და ითვისებენ ჩემს სურვილს. ამავე დროს, ვფიქრობ, „ელანის“ თხილამურების ასეთ პოპულარობაში ჩემი წვლილიც არის. ასე რომ, ჩვენი თანამშრომლობა ორმხრივ სასარგებლო იყო. იმედი მაქვს, რომ მომავალშიც ასე იქნება.

ამ პრეს-კონფერენციას ჟურნალისტებს წარმოუდგინეს კიდევ ორი მექსიკელი „სუპერგარსკვლავი“ — არმინ ბიტენერი და ოლე-კრისტიან ფურუერტი, რომლებიც საკმაოდ დამაჯერებლად ასპარეზობენ საერთაშორისო სარბიელზე და ისევე, როგორც თავის დროზე სტენმარკი, ფირმა „ელანის“ თხილამურებით გამოდიან.

გიორგი ძმორბია

პრეზიდენტის პარკი

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუ. ანტონიო სამარანჩმა ატლანტაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ იგი არ გამოიცილებს 1992 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე ერაყის სპორტსმენების მონაწილეობას. „იმედი გვაქვს, რომ თამაშებამდე დარჩენილ დროში ამ სახელმწიფოში ვითარება სტაბილური გახდება და ადგილობრივ ათლეტებს, რომლებიც განდევნილი იყვნენ საერთაშორისო სპორტულ მოძრაობიდან მას შემდეგ, რაც ერაყის ჯარებმა დაიპყრეს ქუვეითი, მიეცემათ საშუალება მოეზადონ მიმდინარე ოთხწლიანი უდიდესი შეჯიბრებისათვის“, — განაცხადა მან.

ამავე დროს, სამარანჩმა მაღალი შეფასება მისცა ოლიმპიადის — 96 ორგანიზატორის ოფიციალური ოფისის არქიტექტურულ შესრულებას, რომლის გახსნის ცერემონიას იგი ატლანტაში ჩასვლისას დაესწრო.

„რუსული გულუხეობა“

ამერიკის მძლეოსნობის სამყაროში კიდევ ერთი სკანდალი მოხდა. ბევრი წინა შემთხვევისაგან განსხვავებით, იგი მრავალმხრივ უჩვეულო აღმოჩნდა. საქმე ის გახლავთ, რომ ბრაილი ედება ერთდროულად ორ ადამიანს — სპორტსმენს და მის მწვრთნელს. მაგრამ, თუ პირველს კიდევ შეიძლება ჰქონდეს რეაბილიტაციის იმედი, მწვრთნელის მდგომარეობა ბევრად უფრო რთულია.

წლებულს იანვარში აშშ-ის ათლეტიკურმა კონგრესმა ორი წლით დისკვალიფიკაცია მისცა 100 მეტრზე თარჯბენის ერთ-ერთ საუკეთესო ოსტატს ლეონა მარტინს. ქვეყნის ჩემპიონი და 1990 წლის კეთილი ნების თამაშების მესამე პრიზიორი დოპინგ-კონტროლმა „აშშ-ილა“. სპორტსმენის ანალიზში აკრძალული პრეპარატები — ფუროსემიდის კვალი აღმოჩნდა.

მარტინმა აპელაცია შეიტანა სპორტსმენთა კომისიაში და ხელახალი ანალიზის ჩატარება მოითხოვა. შემოწმებამ პირველი ანალიზის სისწორე დაადასტურა. მაშინ მარტინმა ათლეტიკურ კონგრესში გაგზავნა განცხადება და საქმეს სხვა ელფერი მიეცა. ხელახალი გამოკვლევის შემდეგ ახალი ფაქტები გამოვლინდა და კომისიამ მარტინი „უდანაშაულო მსხვერპლად“ მიიჩნია. როგორც გამოჩნდა, სპორტსმენმა, რომელიც თავს უქეიფოდ გრძნობდა, თავის მწვრთნელს, სსრ კავშირის ყოფილ მოკლბურთ ტატიანა ზელენცოვას მიმართა. ამ უკანასკნელმა „რუსული გულუხეობა“ გამოიჩინა და თავის მწვრთნელს აბი მისცა, ის კი დაუმალა, რომ პრეპარატი ფუროსემიდის შეიცავდა. მოგვიანებით, როცა ვითარებას სკანდალური ხასიათი მიეცა, ზელენცოვა გამოტყდა ამაში, თუმცა თავიდან ყველაფერს კატეგორიულად უარს ეცდა.

ალა ლეონა მარტინი აპირებს გაასაჩივროს თავდაპირველი გადაწყვეტილება მისი დისკვალიფიკაციის შესახებ, რის გამოც 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლებას კარგავს. ფიქრობენ, რომ აშშ-ის ათლეტიკური კონგრესი ღმრთიერებას გამოიჩენს და დისკვალიფიკაციის ვადას შეამცირებს. რა ზომებს მიიღებენ ზელენცოვას მიმართ, უახლოეს ხანში შევეტყობთ.



თუ გაცი მოინდობავს მიუფვლოვალ ანაფორი!

ჩვენი ინდექსია 66441

1 თვე — 1 მან. 73 კაბ. 3 თვე — 5 მან. 19 კაბ.
5 თვე — 10 მან. 32 კაბ. 12 თვე — 20 მან. 76 კაბ.

გამოინერეთ!

„სარბიელის“ სპონსორია კოოპერატივი „ბრანსკავშირი“

გამოინერეთ
პარასპეობით
სარბიელი
ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 530060, ცაგერის ქ. №6, ბ.30.
გაზეთ „სარბიელის“ რედაქცია.
ტელეფონი 88-89-98.

გაზეთი აიწყო და დაკაბდონდა
კომპიუტერით ძის გამოთვლით
ცენტრში ტელეფონი 85-28-44
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით
საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ შოხიშვილი.
სარედაქციო კოლეგია: ელზა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ძმორბია (ასპრინტენტი მდივანი), ზაზა ზალოლაშვილი, გიორგი იმამიშვილი.
კომერციული დირექტორი შოთა ჯულუხაძე.

აპითური, იპითური
ერთი თვის წინ „სარბიელი“ იწყებოდა, რომ საავტორო კატაგორიაში მოყვანა ნიჭიერი ინჟინერის სანაშრომთხილამურე კრისტინა კრისტინა. სპორტსმენის დაწინაურება ჰქონდა თავის ქალა, მარცხენა უფრო და წარბისწედა ძველი, მოტეხილი ჰქონდა მარცხენა ღვაწლი. ამჟამად გედინას ჩანარელობა შედარებით დამაკმაყოფილებელია. ასე იგი არ კარგავს იმედს, რომ შეძლოს ალბერტის 1992 წლის ოლიმპიადაზე გამოვლას.

1996 წლის ოლიმპიადის შეჯიბრებები ცხენოსნობაში ატლანტიდან გადატანილია სხვა ადგილას. საქმე ისაა, რომ ოლიმპიადის გამართვის პერიოდში (29 ივლისი — 4 აგვისტო) ოლიმპიადის დედაქალაქში მოსალოდნელია ძლიერი სიცხე და ჰაერის ტენიანობის მომატება. იმისათვის, რომ დაიცვან ცხენები, შეჯიბრება ჩატარდება უფრო გრილ, მაღალმთიან რაიონში — სტინ-მუნტინ პარკში.

მსოფლიოს ჩემპიონი ველისპორტში, ფრანგი ჟანი ლონგო თავისი უცნაური საქცილით საგონებელში ადგებს მეზობლებს. ცნობილი სპორტსმენი გატაცებულია ბატების მოშენებით და ახლაც, ზინ, გრენობლის ჯარებში, რამდენიმე ათეული ფრთა ჰყავს. თავის გატაცებას ჟანი იმით ხსნის, რომ ბატები მოდარაჟე ნაგებობის მაგივრად უწყვეტ უცხო ადამიანს თვალს მოჰკარგენ თუ არა, სპორტსმენის ფრთოსანი მეგობრები ჯოჯოხეთურ გნასს ტყენენ ასე რომ, ჟანის კოტეჯი მართლაც საინტერესო არის დაცული.

ცნობილი ამერიკელი ინჟინერი უილიამ მოხი, რომელიც თავის დროზე ფლორიდაში უოლტ დისნეისათვის „ეპოკტეცტრის“ მშენებლობას ხელმძღვანელობდა, ატლანტაში ოლიმპიურ სტადიონისა და სოფლის მშენებლობა შეფად დაინშნა. დასახული გეგმების წარმატებით შესრულებისთვის 1996 წლის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა მას ნახევარი მილიარდი დოლარი გამოუყო.

მაღალი მთავრობამ ფულადი ჩილდობი დააწესა ამ ქვეყნის სპორტსმენებისათვის, რომლებიც 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიადაზე თავს გამოიჩინენ. ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი 74 ათასი დოლარის ჩვენს მიიღებს.

ნსლ-ის კლუბ „ლოს-ანჯელეს კინგზს“ ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს ალბერტინონ ჩრდილოამერიკული ჰოკეის ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი ტანდემი. ლამარაკა მარწვენა ჯარებარბარი კურისა და ცენტრალურ თავდასხმელ უიინ გრეცკი. რომლებიც თავის დროზე მართლაც ბრწყინავდნენ „ედმონტონ ოილერსში“. ეს წყვილი 1988 წელს დაიშალა, როცა გრეცკი „ლოს-ანჯელეს კინგზში“ გადავიდა. ერთი წლის შემდეგ გუნდი დატოვა კურმაკი, რომელმაც იტალიის კლუბ „მილან დეველზთან“ დადო კონტრაქტი. 31 წლის ფინელი სპორტსმენი თანახმა კლავდ შეუერთდეს გრეცკის და მასთან ერთად ითამაშოს ლოს-ანჯელესის კლუბში.

დომინგის ებიდემა გერმანიის არც ჩეტოსლოვაკეთის სპორტს აუარა. შერჩეული დომინგ-კონტროლზე აკრძალული სტამბულატორების მიღებაში ამიღეს ბარიერისტი ბლანკა ჰენეშოვა და სპირიტორი რენატა კუბალოვა. ამ ქვეყნის მძლეოსნობის ფედერაციამ ორივე სპორტსმენს 2-2 წლით მისცა დისკვალიფიკაცია.

აპითური, იპითური...